

საქართველო

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ზანი 40 კაპიკი

საქართველოს მენაჯერთა კავშირი

ნოქარშია:

ეროვნული ჩემპიონატები

ფეხბურთი, ხელბურთი, რაგბი

მე-2, მე-3 გვერდები

ბორა მილუტინოვიჩი ახალ ამბულაში

პირველი კორესპონდენცია შეერთებული შტატებიდან

მე-6 გვერდი

გუგინი იპინეთ კონსერვატორიუმში...

დისკუსია ფეხბურთის წესების გარშემო

მე-7 გვერდი


სუმო და პატივმოყვარე იაკონალები

თქვენც გასუქდით, ამერიკელებო?

მე-8 გვერდი

დღეს, 19 აპრილს

ფურნად-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართება საქართველოს სპორტულ ფურნად-დისკუსია ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია. დასაწყისი 15 საათზე.



„ქნებია პრისა არ უნდა იყოს შებოკილი-შეჯაჭვული, უნდა მას კქონდეს სარბიელი“
პაპა

საქართველოს ჩასუბლიკის სპორტის ღაპარგაენების განსხალება

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმის შედეგებზე დაურდნობით, აღაზრულა რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის ნება და აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს სპორტის დეპარტამენტს მაინა, რომ ახლა, როცა რესპუბლიკა ცხოვრების ყველა სფეროში დამოუკიდებლობის გზას დაადგა, საქართველოს სპორტსმენებს, როგორც თავისუფალი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, აღარ აქვთ იურიდიული და მორალური უფლება ასპარეზონ როგორც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა. ამერიიდან ყველა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება, უწყება, სპორტული ფედერაცია უნდა გამოეყოს საკავშირო სტრუქტურას, ხოლო რაც შეეხება ჩვენი სპორტსმენების ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, ეს საკითხი შესაბამის ოლიმპიურ კომიტეტებთან ცალკე მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს. უმდიდრესი ტრადიციების ქართული სპორტი ამერიიდან მთელი თავისი შესაძლებლობებით სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერის ინტერესების სამსახურში დგება. ამასთან, ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გავწყვეტთ კავშირს საბჭოეთში შემავალ ცალკეულ რესპუბლიკებთან, ბირიქით, ვესწრაფვით როგორც მათთან, ისე უცხოეთის სხვა ქვეყნებთან სპორტული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას, ვებრძობებით, რათა რესპუბლიკამ ღირსეულად ადგილი დამკვიდროს ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა და მსოფლიო

ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში გაზრდილად დავიცავთ და ვუერთოვლებთ მსოფლიო ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში სპორტის მაღალმუშაზრ და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. კარგად გვესმის, რომ აღმავლობის გზით მიმავალი ქართული სპორტი ამ ეტაპზე სიმძლავრის წაწყვეტა. შესაძლოა, გარკვეულად დაქვეითდეს კიდევ მაღალი სპორტული მაჩვენებლების ზრდის ტემპები, მაგრამ ყველა დაბრკოლება უნდა გადავლახოთ საერთო ძალისხმევით, დედასამშობლოს, თავისუფლების სიყვარულით. ღრმად გვქამს, რომ დროებითი სიმძლავრის მომავალში დაიძლევა და როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სრულყოფილი დედასაბუთი, მთელ მსოფლიოს დაეხმავება ჩვენი ეროვნული ფენომენის დიდ შესაძლებლობებს. ამის უტყუარი გარანტია საქართველოს ახალი, ეროვნული ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვა ჩვენი სპორტის შემდგომი აღორძინებისათვის, მისი მატერიალური ბაზის რადიკალური გაუმჯობესებისათვის. განზრახულია სტრუქტურული ცვლილებები და დასახულია ფართო მასშტაბის პროგრამები სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი განვლიისათვის, მათი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებისათვის. ამ ეტაპზე კი სადღეისო, გადუღებელი ამოცანა ისაა, რომ ფიზიკურმა

კულტურამ და სპორტმა ღირსეულად აუბას მხარი ჩვენი სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე რადიკალურ ცვლილებებს. ვადასტურებთ, რომ როგორც თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენლები, კვლავაც მზად ვართ, ვუმასპინძლოთ საერთაშორისო შეჯიბრებებს. მაგრამ თუ ამ ეტაპზე „ცენტრში“ შეეცდება მოგვეწყვიტოს საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას, მას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ქართველი ერისა და მსოფლიო სპორტული საზოგადოების წინაშე. ამასთან, გამოვდივართ თაოსნობით — თუკი, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები უარს იტყვიან იმპერიული სპორტის არსებულ სტრუქტურაზე, ჩავატაროთ თავისუფალ ერთა სპორტული შეჯიბრებები. ვიმედოვნებთ, რომ ამ განცხადებას გაგებით მოეკიდება რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, თანაშრომლობის თვისებრივად ახალ პრინციპებზე აგებული ურთიერთობები ქართულ სპორტს წელს შეუწყობს გავიდეს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე. განცხადება განხილულია და მიღებულია სა-ბარტველოს სპორტის დეპარტამენტში 1991 წლის 12 აპრილს გამართულ სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა ერთობლივ შეგარებაზე.


დადგომით და უარყოფით

საქართველოს საგზაო-საავტომობილო ჩემპიონატის მესამედი უკვე განვლილია. პირველი ეტაპი ტურის შედეგებზე აზრი გაგვიზიარა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ილია დათუნაშვილმა, თუმცა ჩვენი საუბარი ამით არ შემოფარგლულა.

ჩემი შეხედულება მიმდინარე ჩემპიონატზე, არა როგორც სპეციალისტის, არამედ როგორც ყოფილი სპორტსმენის ასეთია: შარშანდელთან შედარებით წლებგანდელი ჩემპიონატი უკეთ დაიწყო, რადგან შარშან ყველა მოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საკავშირო ჩემპიონატს შეჩვეული ხალხი, ეროვნულზე უცხად ვერ გადაერთო. დღეს გუნდები უფრო დახვეწილი არიან. თუმცა არის ერთი საგანგაშო მომენტი: ხშირია ინციდენტები სტადიონებზე, მაყურებელთა ჩხუბი, მსაჯების ცემა, აგრესია

მოწინააღმდეგე გუნდის მიმართ და სხვა. საგულსხმოა, რომ საკავშირო ჩემპიონატების დროს ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. ეს ეტყობა დრომაც მოიტანა. ევროპის სტადიონებზე არაერთხელ მინახავს, ჩვეულებრივი მათეულით კი არა, ეკლიანი მათეულით შემოლობილი მინდორი, ტრიბუნებზე ერთმანეთისგან იზოლირებული სექტორები. ჩვენში ამბობდნენ, მაყურებელს ბადე როგორ ვაკადროთო. საჭირო ყოფილა. ახლა რაც შეეხება გუნდებს. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „იბერია“, რუსთავეის „გორდა“. „გორდასთან“ დაკავშირებით მინდა აღვნიშნო გვიგინო ნოდის დიდი დამსახურება. ის კარგი ფეხბურთელი იყო და არანაკლებ კარგი მწვრთნელიც დადგა, თუმცა ჩემის აზრით, მეტიც შეუძლია. რუსთაველებს მართალია ცუდი სტარტი ჰქონდათ, მაგრამ როდესაც მათ თამაშს დაუწყებენ, კლასს, შემოქმედებას ვგრძობ, რომ ისინი თანდათან გააუმჯობესებენ შედეგსაც. ძალიან მომეწონა „გურიას“ თამაში. ქუთაისის გუნდიც კარგია, თუმცა იმ განმარტებულმა ინციდენტმა ხელი

შეუშალა. ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა „ოდიშზე“. ოთარ გაბელია სწორად მოიქცა, თავისი კუთხის გუნდს რომ ჩაუდგა სათავეში. სხვას რომ თავი დაეხრებოდა, მარტო მისი იქ ყოფნა შეასახსნა ფრთხილად ახალგაზრდობას. საშაგალითია გიგა ნორაკიძის მუშაობა „ცხუმში“. მან მოკლე დროში კარგი კოლექტივი შექმნა. ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ქეცბაია და ცხადმე მომწონს. რა თქმა უნდა, სხვა გუნდებშიც არიან ბერსაქმეტილი მოთამაშეები. ერთი კია, მათ ასპარეზი სჭირდებათ. თუ ჩვენ დროულად არ გავვლით საერთაშორისო სარბიელზე, ისე ჩვენი ფეხბურთის კლასი არ აიწვევს. მარტო ეროვნული ჩემპიონატი შეიძლება რამდენიმე გუნდი, ვთქვათ, იგივე იბერიის დონეზე ავიდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო კლასში იმატა. მიმდინარე ჩემპიონატში შეინიშნება ლიდერთა მოულოდნელი ჩავარდნები. საერთოდ ასეთი რამ ფეხბურთში ხდება, მაგრამ ყველა გუნდი უნდა ეცადოს, რომ მოედანზე „სხვათაშორის“ არ გამოვიდეს და თუ მსგავსი რამ „იბერიას“ ნაკლებად მოსდის, ეს გუნდის კლასზე და გამოცდილებაზე მეტყველებს. შეინიშნება კვალიფიკირ მწვრთნელთა დეფიციტიც. ქართულ ფეხბურთში მრავალი გამოჩენილი ფეხბურთელია, რომელთაც კარგი მწვრთნელობაც შეეძლოთ, მაგრამ ამ საქმეს, სამწუხაროდ, ოთხი-ხუთი კაცი თუ გაჰყვა. კარგი მწვრთნელების გარეშე კი ძალიან გაგვიჭირდება ფონს გასვლა.



დამაფიქრებელია მსაჯობის პრობლემა. ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ეს საქმე დღესაც „საბჭოური“ ინერციით გრძელდება. ხშირად, უყურებ თამაშს და გრძობ, რომ მსაჯი ბევრ ნიუანსში ვერ ერკვევა. მხოლოდ წესების დამახსოვრება არ არის საკმარისი, ფეხბურთის მსაჯი „შინიდან“ უნდა იცნობდეს. ანგარიშგასაწვეია მატერიალური და ინტერესების პრობლემა, თუმცა

ფეხბურთის ფედერაცია დღეს ბევრს მუშაობს ამ სირთულის დასაძლევად. კიდევ ერთი. ჩვენს ფეხბურთელებს დროთა განმავლობაში უფრო ხშირად მოუწევთ უცხოეთის გუნდებში თამაში. ვერ ერთი ამით ქართული ფეხბურთის სახელი გაგვ უცხოეთში, მეორეც ეკონომიკურად მოიგებს როგორც თავად მოთამაშე, ისე კლუბი. გარდა ამისა, უცხოეთის ჩემპიონატში გამოცდილება-მიღებული ფეხბურთელი, როცა ამის დრო მოვა, უფრო გამოადგება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. შესაძლოა ამან თავისი უარყოფითი კვალი დაიწვიოს ჩვენს ჩემპიონატს, მაგრამ დადებითი მისივე მეტია.

დაბოლოს... მოსალოდნელია, რომ საგზაო-საავტომობილო ჩემპიონატში ისევე „იბერია“ გაიმარჯვებს. ამისათვის მას დღეს ყველა პირობა აქვს შექმნილი. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.



იბერია — ბათუმი 3:0

ეროვნული ჩემპიონატი

- VI ტური
- სულორი — ოდიში 2:1
 - გორდა — ქუთაისი 1:0
 - ალაზანი — გური 2:0
 - სამგურალი — სანაპარაღო 2:0
 - ივერია — კოლხეთი 1:0
 - ამირანი — მერცხალი 4:3
 - მარგვეთი — ცხუმი 3:1
 - იბერია — ბათუმი 3:0
 - გურია — კოლხეთი-13 1:0
 - შეპარდენი-06 — დილა 1:1

ბოგბარდირები

- 5 გოლი: მერაბ შეროზია (ოდიში).
- 4 გოლი: გიორგი გოგიაშვილი (ცხუმი), გივი კობელაშვილი (შეპარდენი-06), ვიქტორ ბიშუშინი (კოლხეთი).




კახი ცხადამეშ ეს-ესა მეორედ აიღო ბათუმელთა კარი

| ბათამაგუმბის ცხრილი | | | | | | |
|----------------------------|---|---|---|---|------|----|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. იბერია (თბილისი) | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| 2. გურია (დაბანხული) | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| 3. ოდიში (სუფლი) | 6 | 4 | 0 | 2 | 13:2 | 12 |
| 4. ცხუმი (სოხუმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| 5. გორდა (რუსთავი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| 6. კოლხეთი-13 (ყოთო) | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| 7. ბათუმი (ბათუმი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| 8. სამგურალი (წაფტუბო) | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| 9. დილა (გორი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| 10. ალაზანი (გურჯაანი) | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | 9 |
| 11. კოლხეთი (ხობი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| 12. მერცხალი (ოზურგეთი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7:5 | 7 |
| 13. სანაპარაღო (სამტრედია) | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| 14. ქუთაისი (ქუთაისი) | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 6 |
| 15. მარგვეთი (ნესტალონი) | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| 16. ივერია (ხაშური) | 6 | 2 | 0 | 4 | 3:12 | 6 |
| 17. სულორი (ვანი) | 6 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| 18. შეპარდენი-06 (თბილისი) | 6 | 1 | 1 | 4 | 7:9 | 4 |
| 19. მსოფლი (გაფი) | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| 20. ამირანი (ოჩამჩირე) | 6 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |

გაგვიყვანს — სპორტსმენი ასპარეზი!

თბილისის პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ვიკი“ აწყობს საერთაშორისო ტურნირს ფეხბურთში ბავშვებს შორის. ტურნირის შესახებ ვესაუბრეთ „ვიკის“ პრეზიდენტს, ფიზკულტურის ინტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგეს ავთანდილ ჭკუასელს.



ავთანდილ ჭკუასელი

— ბატონო ავთანდილ, ვინ მიიღებს მონაწილეობას ტურნირში?
— პირველ საერთაშორისო ტურნირში შევიბრებები გაიშარტება სამ ასაკობრივ ჯგუფში. 1978 წელს დაბადებულები ითამაშებენ გაიოზ ჯგუფს, 1979 წელს დაბადებულები გრიგოლ ჯგუფს, ხოლო 1980 წელს და უფრო გვიან დაბადებულები მიხეილ პირავეის პრიზზე. მოწვეული გვყავს საფრანგეთის, თურქეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, აშშ-ის, პოლანდიის ინგლისის, იტალიის, სომხეთის, ლიტვის, უკრაინის, სხვადასხვა საბჭოთა ქალაქებისა და საქართველოს გუნდები. ვვარაუდობთ, რომ ოცდაათი გუნდი მოიყრის თავს.
— ორიოდ სიტყვით თქვით გუნდი გაგვიყვანთ.
— კლუბი „ვიკი“ დაფუძნდა ფსიკოლოგების ინსტიტუტში. ჩვენმა ბავშვებმა უკვე მიაღწიეს წარმატებებს უნგრეთსა და საფრანგეთში, წელს კი

აშშ-სა და ფინეთში გავემგზავრებით. სხვათა შორის, უნგრეთში „ბრილიანტის გუნდი“ მოგვანათლეს. ბავშვებს სპეციალური მეთოდით ვავარჯიშებთ. დარწმუნებულნი ვარ, რომ რამდენიმე მათგანი ცოტა ხანში დიდ ფეხბურთში გამოჩნდება.
— რა სახარებით ეწყობა ტურნირი?
— გვაფინანსებენ სპონსორები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ფიზკულტურის ინსტიტუტი. ტურნირი კომერციულია. ასე, რომ შემოსავალიც იქნება. მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლო ყრუაშვილი, კომერციული დირექტორია „ვიკის“ ვიცე პრეზიდენტი გივი ბარამიძე. იმედი მაქვს, რომ ამ ტურნირით ჩვენც შევიტანთ მცირე წვლილს ქართული ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საქმეში.

ხალხური პეტერანთა უპირატესობით



შეტევაზე ზაზა დოლიძე

მეორე შეხვედრა გაცილებით მწვავე ბრძოლით აღინიშნა — უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. მატჩის ბოლოს ვეტერანებმა შეძლეს დაწინაურება და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდევ — 3:3. ამ დღეს გუნდს მხსნელად მოველია ვახტანგ ბერი-აშვილი, რომელმაც 14 გოლი გაიტანა. სადღესოდ, ვეტერანთა გუნდი 18 ქულით თელაველ ხელბურთელებთან ერთად სატურნირო ცხრილში მესამე-მეოთხე ადგილზე იმყოფება. ლიდერობას კი 21 ქულით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ინარჩუნებს. მეორე ადგილზეა ფოთის „ოქროს ვერძი“ — 19 ქული.

ბნა ახალაძე
ავტორის ფოტო

ინგლისი

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისის... ინგლისის ნანგრევანდურმა მატჩებმა...

შპსპროტი

„ბარსელონა“ სტუმრად მოუწოდა „სესტა-ლიონა“ (1:0) და ერთი ქულით გახარდა...

ერთ-ერთი კონტრატები დროს კი 75-ე წუთზე... „არსენალი“ კარში - 3:1.

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, Cards, etc. Rows include Arsenal, Liverpool, etc.

„ლივერპული“ წინ იყო - 4:0 (პუტინი, მოლიბი-პენალტით, სპიდი, ბარნისი)...

(2) და მაკლამ. მიმომხილველები აღნიშნავენ... რომ გუნდს უკვე დაეცო ახალი მწვრთნელის...



ინგლისის ჩემპიონს „ლივერპულს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს - გუნდის ყოფილი მთავარი გრემ სურესი...

სურესის გადწყვეტილება მით უფრო გასაკვირა... რომ ორი კვირის წინ, დასრულების გადადგომის შემდეგ...

ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა, თქვა „არინჯერის“ პრეზიდენტმა მარინ... მან აგრეთვე განაცხადა, რომ „ლივერპულს“...

ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტი სერ სტენლი როუზი ამბობდა: „ფეხბურთის მთელ მსოფლიოში იმიტომ ჰყავს მილიონობით თაყვანისმცემელი...“

ერთი სიტყვით სპორტულ თამაშებს შორის ფეხბურთი უდავოდ ყველაზე კონსერვატორულია და სერ სტენლი როუზისა არ იყო...

ნუხა 1. მცველი, რომელიც წესების დარღვევით წაქცევს მგარეხონ პირისპირ გასულ მოთამაშეს...

ქნელი სათქმელია ამ და სხვა წინადადებათა თაობაზე რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფიფა-ს წესების კომიტეტი...

უმნიშვნელო უნდა იყოს, ვთქვით ისეთი, როგორც თამაშარე მდგომარეობის წესში შარშან შეტანილი ცვლილება...



რუდი ფიფაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ამპლუსის მოთამაშეს მოუხმინო: თავდასხმულს შეიძლება ერთი პრინციპი აწუხებდეს...


ფეხბურთის სამშობლოში? იქ ყოველგვარ ნოვაციას ეცემა თვალთ უყურებენ. ბრიტანელებს, კაცმა რომ თქვას, შეუძლიათ მშვიდად იძინონ...

როგორ იქნება ფეხბურთი XXI საუკუნეში? საჭიროებს თუ არა დედამიწაზე უპროპორციული სპორტული თამაში ჰიპერგოლური ოპერაციისა?

ფეხბურთის სამშობლოში? იქ ყოველგვარ ნოვაციას ეცემა თვალთ უყურებენ. ბრიტანელებს, კაცმა რომ თქვას, შეუძლიათ მშვიდად იძინონ...

როგორ იქნება ფეხბურთი XXI საუკუნეში? საჭიროებს თუ არა დედამიწაზე უპროპორციული სპორტული თამაში ჰიპერგოლური ოპერაციისა?

„თავსატახი“ იაპონელებსაც გაუჩნდათ



სუმისტა ორთაბრძოლის დაწყების რიტუალი

იაპონიამ დიდი ხანია გაუღო კარი უცხოელებს, მაგრამ მინც არის ცხოვრების ზოგიერთი სფერო, სადაც „გარეშე“ კაცს ფეხს ადვილად არ შეუდგმევინებენ. სულ ბოლო დრომდე ერთ-ერთი ასეთი სფერო გახლდათ სუმოც — ეროვნული ჭიდაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, იაპონელები ვერ შეძლებენ მის „გადარჩენას“.

წარმომადგენლები სწრაფად გააჩვენებენ მათთვის ეგზოტიკურ სახეობაში და ცოცხალი სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს საუკეთესო იაპონელ ოსტატებს. მათ ბირველმა გზა გაუკადა ჯესი კუაულუამ, რომელიც იაპონიაში ამ თხუთმეტი წლის წინათ ჩავიდა ბედის საძიებლად. კუაულუასარბიელზე ტაკა-შიამას სახელით გამოდიოდა. მან მალე მიიქცია ყურადღება და ხალხში აღიარებაც მოიხვეჭა, როგორც სუმოს ძლიერმა ოსტატმა. შემდეგში კუაულუა ტაკაშიამამ იაპონური ენა ისწავლა,

ცოლად იაპონელი ქალი შეერთო და, როცა ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, იაპონიის ჭიდაობის ასოციაციამ მას ნება დართო სუმოს სკოლაში გაეხსნა.

ახლა იაპონელები ამას ძალიან ნაბობენ. რაც უნდა იყოს, ტაკაშიამა მაინც ამერიკელია და როცა თავის სკოლაში სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სპორტსმენებს იღებს, იგი ამით სუმოს ეროვნულ ავტორიტეტს ზღავებს. ახლა სუმოში 700 პროფესიონალი

აქვე ვიტყვით, რომ სუმო იაპონელებისათვის მარტო სპორტი კი არ არის, არამედ უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე საბატო რიტუალი. ყოველი შეხვედრა ხუთ წუთს გრძელდება, მაგრამ უშუალოდ ორთაბრძოლას მხოლოდ 10-15 წამი სჭირდება. მოქიდავები ჯერ ცეკვას ასრულებენ, მერე მარლის დაიყრან, რაც ყოველივე მიწიერისაგან განწმენდის სიმბოლური გამოხატულებაა, შემდეგ კი იწყებენ მეტოქის „შეშინებას“ ყვირილით და გრინასებით. და როცა ყოველივე ეს დამთავრდება, იწყება ნამდვილი შერკინება.

ახლაგაზრდა ამერიკელებს ბევრის ატანა მოუხდათ, ვიდრე სუმოს ოსტატები გახდებოდნენ. დღეს „აკა-ბონოს“ სახელით ცნობილი როუენი (სიმაღლე — 203სმ, წონა — 190კგ) და ეტისონი, რომელმაც „კონიშიკი“ დაირქვა (სიმაღლე — 200სმ, წონა — 174კგ), საწვრთნელ ბანაკში ბერ-მო-სიველურ ცხოვრებას ეწყვიან. მათი ყოველდღიური „განრივი“ მკაცრად არის რეგლამენტირებული იაპონური ტრადიციის შესაბამისად, რომელიც უმკაცრეს დისციპლინას და უფროსების უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს...

„დაახ, კარგი მოქიდავები არიან, მაგრამ მათი წარმატებები ჩვენ არაფერში გვეჭირდება“, — კატეგორიულად აცხადებენ ერთნი; „იქნებ დროა სუმოს საერთაშორისო აღიარებაზეც ვიფიქროთ?“ — ამბობენ სხვები. ვნახოთ, დრო განსჯის.

მეორე მატჩის შედეგები

სუმოს მატჩების შედეგები

| | | | | | | |
|----------|---|---|---|---|------|---|
| უჩინო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| სსრკ | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| კვიბროსი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-18 | 0 |

მესამე მატჩის შედეგები

სუმოს მატჩების შედეგები

| | | | | | | |
|------------|---|---|---|---|------|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 18-1 | 8 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 4 |
| ფინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 1-20 | 1 |

მეოთხე მატჩის შედეგები

სუმოს მატჩების შედეგები

| | | | | | | |
|----------|---|---|---|---|-----|---|
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 7-2 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |

მარკ, იქნებ არ ღირს

დღეი ინტერესი გამოიწვია კალიფორნიის მატჩი ჰალკი მიშნ ვიხილა გამართულმა სახვენებელმა გაცურვამ, რომელიც სახელმწიფო მარკ სიციის მარცხით დათავრდა. აფორტუნის მიზეზი ცნობილია — 41 წლის სიცი გადამწყვეტილი მჭონდა კვლავ დაეკავებინა ადგილი აშშ-ის ეროვნულ ნაკრებში და ბარსელონაში გასაბრუნა ერთი წლის კანცაფრეცა ვარჯიში საკარისი არ აღმოჩნდა — სიცი მოცურავეთა ახალი თაობის შედეგებს ვერ მოუახლოვდა. მისი ოპონენტი იყო მსოფლიო რეკორდსმენი 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 28 წლის ტომ ჯეკერი. სპორტსმენებმა სწორედ ამ დეტანკაზე ისაბრუნეს, ოღონდ — ბატერულით. ჯეკერი სტარტიდანვე დაწინაურდა და ფინიშთან ბირველი მიიჭრა — 24,92 წამი სიცი შედეგა 28,70.

ორი კვირის შემდეგ სიცი სეულის ოლიმპიადის ხუთჯის ჩემპიონს მეტ ბიონის შეეხებება. იქნებ არ ღირს, მარკ

ახსენებ უოკენს ოსენა?

ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად დიდხანს ცდა არ დაგვეკიდება. ყველაფერი გამოირკვევა ამაღამ, როცა ჩატარდება მატჩი შიმეი წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ამჟამინდელმა ჩემპიონმა — 28 წლის ამერიკელმა ვენანდერ პოლიფილდმა, თავისი რენომე უნდა დაიცვას ასევე ამერიკელ მოკრივესთან, 43 წლის წლის ჯორჯ ფორმენთან შეხვედრაში.

ჯორჯ ფორმენი ცამეტი წელიწადია რინგზე არ გამოჩენილა. დაბრუნების შემდგომ პერიოდში მან ოცდასამ ორთაბრძოლაში ოცდასამი გამარჯვება მოიპოვა. დღეს მისი „ნამსახურობის ნუსხა“ ასეთია: 71 მატჩი, 69 გამარჯვება, აქედან 65 ნოკაუტით. ვეტერანს კვლავ სწამს თავისი ბედის ვარსკვლავისა და იმედი აქვს, ისევე მოიპოვებს მსოფლიოს ბირველი ხელთათმანის სახელს. ეს ტიტული მას ჩვიდმეტი წლის წინათ ჩამოართვეს დიდა მუჰამედ ალიმ. თუ ფორმენის ოცნება ახდა, ის იქნება ყველაზე ხნიერი მსოფლიო ჩემპიონი ყველაზე პრესტიჟულ წინათა კატეგორიაში.

მაგრამ ბევრი მიმოხილველი პოლიფილდს ანიჭებს უპირატესობას. მან მართალია, გვიან მიიქცია ყურადღება პროფესიულ რინგზე, მაგრამ მტკიცედ, დამაჯერებლად მიიწვია მწვერვალისაკენ. პოლიფილდმა ოცდახუთი მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო, აქედან ოცი ნოკაუტით. ბოლო გამარჯვებამ გასული წლის 25 ოქტომბერს ჯემს „ბასტერ“ დუგლასთან შეხვედრაში მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა. პოლიფილდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი ტიტულის დაცვა. ფორმენისაგან განსხვავებით, რომელიც პრესაში საკმაოდ მოურიდებელი განცხადებებით გამოდის, ვენანდერი თავს არიდებს ზედმეტ ხმაურს და მხოლოდ მომავალი ორთაბრძოლისათვის მზადებით არის დაკავებული. ექსპერტთა აზრით, მისი ფიზიკური მდგომარეობა ახლოა ოპტიმალურთან და მსოფლიოს დღევანდელი ჩემპიონი არ დაუშვებს ფორმენის გამარჯვებას. ორთაბრძოლისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის ერთი გარემოება: მან, ვისაც ამ შეხვედრაში ბედი გაუღიმებს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას მაიკ ტისონისა და დონოვან რადოკის განმეორებით მატჩში გამარჯვებულთან. როგორც ცნობილია, ეს შეხვედრა 28 ივნისისათვის არის დანიშნული. პროგნოზის მიხედვით ბოლოს ერთმანეთს პოლიფილდი და ტისონი უნდა შეხვდნენ. ვნახოთ.

„სარბიელი“ სკონსოკია კოოპერატივი „ტრანსკავშირი“

გამოღის პარასპეკოზით

სარბიელი

ინფორმაცია 66441

ჩემენი მისამართი: თბილისი 250060, ცაგერის ქ. №6, ბ.ბ. გაეტი „სარბიელის“ რედაქცია ტელეფონი: 88-29-98.

გაეტი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერთი ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 85-28-44

გაეტი იმეცდება ოფსეტური წესით საგაეტიო კორპუსში თბილისი, ხოზარაულის ქ. 29

რედაქტორი ვუზაბ შონსპერი. სარბიელი კოლექცია ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი შონსპერი (ასპუზინგებელი მდივანი), შალვა შალივაშვილი, გიორგი ჩოჩიაშვილი, კომპიუტერი დირექტორი შოთა შულუხაძე.

„სარბიელი“

მაღრიდის „რეალის“ და „ვალენსიას“ მატჩის წინ „სანტაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე „რეალის“ ბრუნდინგის არჩევნები გაიმართა. „რეალის“ კლუბის 52 ათასმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვება რამონ მენდოსამ მოიპოვა, რომელიც კიდევ ოთხი წლის განმავლობაში იქნება „რეალის“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი. მენდოსას განზრახული აქვს „კრევენა ზეველას“ ფეხბურთელის რობერტ პროსინენკის გადაბრუნება და კოლუმბიელი მწვრთნელის ვრანისკო მატურანსის მოწვევა. როგორც ესმენიებს ბრესს ოუწყება, „მილანის“ მწვრთნელი არიო სკაში უარი თქვა მენდოსას წინადადებაზე. „რეალს“ ჩადგომოდა სათავეში.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით 1993-1994 წლების სეზონში „ა“ და „ბ“ სერიის მატჩებს პროფესიონალი არბიტრები იმსახვებენ. მსაჯების რიცხვი იტალიის ჩემპიონატში 40-დან 35-მდე შემცირდება. მათი ხელფასი იქნება 45000-დან 85000 დოლარამდე წელიწადში, სტაჟისა და მსაჯობის ხარისხის მიხედვით.

ესმენიებს ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის ვინააღურ ტურნირში გასვლის შემთხვევაში, ეროვნული გუნდის ფეხბურთელები მიიღებენ პრემიას 12000 დოლარის ოდენობით თითოეულად.

„ბუნდესლიგის“ ყველაზე მაღალხელფასიანი მწვრთნელი ჰოლანდიელი არი ბანია, რომელიც „ნიურნბერგს“ ავარჯიშებს მისი ხელფასია 550 000 დოლარი წელიწადში, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი აუტსაიდერთა შორისაა. მეორე ადგილზე ამ მაჩვენებლებს მიხედვით მიუნხენის „ბაიერის“ მწვრთნელი ზუბ ჰაინკრა — 430 000 დოლარი, მესამეზე კი „ვერტრის“ ხელმძღვანელი ოტო რეჰგლი. იგი წელიწადში 400 000 დოლარს იღებს.

„ოქროს ბუცისთვის“ ბრძოლაში ლიდერობს ჩეხეთსლოვაკელი ფეხბურთელი ვაცლავ დანეკი, რომელიც ინსბრუკის „ტიროლში“ თამაშობს. დანეკს 24 კოლი აქვს გატანილი. მეორე ადგილზეა სტამბულის „ჟაღათასარაის“ მოვთამაშე თანურ ჩოლაქი — 23 კოლი. 22 ბურთი გაიტანა „მარსელის“ თავდამსხმელმა ჟან-პიერ ბაქენამ, ხოლო 21 ბურთი — ფერნანდუ გომეშმა (ლისაბონის „სპორტინგ“).

ექვსამ ქვეყანამ დაადასტურა 1998 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი. ფილა-ში განაცხადის შეტანის ბოლო დღეს დასტური შევიდა ინგლისიდან, ბრაზილიდან, ინდოეთიდან, მაროკოდან, საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან. ციურბში არანაირი შეტყობინება არ მოუღია ჩილედან, ნაგორიდან და პორტუგალიიდან, რომლებმაც ადრე ასევე წაუყვეს თავიანთი კანდიდატურა.

ერაუი არ მიიღებს მონაწილეობას აზიის მძლეოსანთა ჩემპიონატში. მაღალიზის მთავრობამ უარი თქვა ამ ქვეყნის სპორტსმენებისთვის ვიზების გაცემაზე. აზიის ჩემპიონატის ჩატარება მძლეოსნობაში დაგეგმილია 19-დან 23 ოქტომბრის ჩათვლით.